ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3/49 CPV 24400000, 16116000

(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტო №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქონლის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი 15 მაისი 2017წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, (შემდგომში წოდებული “შემსყიდველად”) წარმოდგენილი კანცლერის, მოვალეობის შემსრულებლის მამუკა კალმახელიძის სახით და მეორეს მხრივ ი.მ რომან უღრელიძე (შემდგომში წოდებული “მიმწოდებლად”), ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსის მ. რობაქიძის განცხადება, კანცელარიის ნომერი #1065 08.05.2017); შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დანართში (დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) მოცემული მცენარეთა მოვლის საშუალებები.

2. საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. მიწოდების ვადაა 5 კალენდარული დღე მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 172 (ასსამოცდათორმეტი) ლარს.
2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.
2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში

2. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონლის გადაცემა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.
3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1.ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საქონლის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 (ხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2.ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ განხორციელდება საანგარიშო ანგარიშ-ფაქტურის (თუ მმიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველძე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.
5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
5.2.1 დროულად უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
5.2.2 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.3.1 პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.
5.3.2 გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
5.3.3 უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შეუსრულებელი ვალდებულების 10% -ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.
6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი მ. რობაქიძე.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	“მიმწოდებელი”
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ი.მ რომან უღრელიძე
ვაჟა ფშაველას გამზ.№33	ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №140 ა
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703	საიდენტიფიკაციო ნომერი 17001000895
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	სს პროკრედიტ ბანკი MIBCGE22
ა/ა GE24 NB 0330100200165022	**ა/ა: GE12PC 0203 600 1000 177 56**

თსსუ-ს კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი
მამუკა კალმახელიძე

ი.მ რომან უღრელიძე

დანართი

№	ცპვ	საქონლის დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	44900000	კირი	კგ	40	1	40
2	44900000	აკტელიკი	ლიტ.	0.05	70	3.5
3	44900000	ბორდოს ნარევი	კგ.	0.5	7	3.5
4	444900000	იზაბიონი	ლიტ	0.1	50	50
5	16116000	შესაწამლი აპარატი (ელექტრო)	ცალი	1	120	120
						172

თსსუ-ს კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი
მამუკა კალმახელიძე

ი.მ რომან უღრელიძე